ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 4 პარილი, 2014 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებულ, N1145 კონკურსის საშუალებით ქ. ბათუმში, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი: ირაკლი სურმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის

ოქმი №2-2

ქ. ბათუმი, 4 აპრილი, 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ერმაკოვი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე-ქ. ბათუმის მერის მოადგილის მ/შ, მერის მ/შ;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი-საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მხატვარი);

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმათველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში;

მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ხელოვნებათმცოდნე;

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი“;

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო - არქიტექტორთა საბჭოს თვმჯდომარე;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი.

დღის წესრიგი: კონკურსის მეშვეობით რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებული N1145 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა თამაზაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2014 წლის 31 მარტის 16^{00} საათამდე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: ჯიმსონ გურგენიძემ (31.03.2014. 15:15 სთ), კახაბერ ხუხუნაიშვილმა (31.03.2014. 15:32 სთ;).

დალუქული პაკეტები საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2014 წლის 4 აპრილს, 12^{00} საათზე. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის მოთხოვნებს.

განიხილეს: საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების ჯიმსონ გურგენიძის და კახაბერ ხუხუნაიშვილის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები, და მსჯელობის შედეგად მიიჩნია, რომ ნამუშევრების ვიზუალური მხარე და არქიტექტორული კონცეფცია ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე კონკურსანტები - ჯიმსონ გურგენიძე და კახაბერ ხუხუნაიშვილი ექვემდებარებიან დისკვალიფიკაციას.

კომისიამ დაადგინა:

1. იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსის მეშვეობით რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში არ გამოვლინდა გამარჯვებული კონკურსი ჩაითვალოს უარყოფითად დასრულებულად და მიენიჭოს სტატუსი -„კონკურსი დამთავრებულია უარყოფითი შედეგით“
2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს კონკურსანტებს: ჯიმსონ გურგენიძეს და კახაბერ ხუხუნაიშვილს.
3. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და თანდართული დოკუმენტაციის გადაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 4 აპრილისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: ირაკლი სურმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე